კულტურული ნორმები, პატრიარქის ინიციატივა და შობადობის ეკონომიკური ასპექტები

ლია ჭყონია
სტუ ასოც.პროფესორი

რეზიუმე

საქართველოში და მსოფლიოში მოსახლეობის დაბერების პროცესი მიმდინარეობს. შობადობის კლება მრავალი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის განპირობებული. ამასთან შესუსტებულია ისტორიულ-რელიგიური კულტურული ნორმები. ქართული კულტურული ნორმები, ჯვრისწერა, ოჯახის სიწმინდე, შვილიანობა, ნათლობა და სხვა, პირდაპირ დაკავშირებულია რელიგიასთან. სწორედ ამ ნორმების გააქტიურებით შობადობის გაზრდა იყო მიზანი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ინიციატივისა, ჯვარდაწერილ ოჯახებში დაბადებული მესამე და შემდგომი ბავშვის ნათლობის შესახებ. რომელიც 2007 წლიდან პერიოდულად იმართება და დღეისათვის პატრიარქის ნათლულთა რიცხვი 49 ათასს აღწევს. 2008 წელს ქვეყანაში შობადობის ბუმი იყო და მოკლევადიან პერიოდში შობადობის მაჩვენებელი ოთხჯერ გაიზარდა. პატრიარქის ინიციატივას იწონებს აშშ ახალი ადმინისტრაციის **მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ილონ მასკი და** იზიარებს **ამერიკელი დემოგრაფის, ლაიმან სტოუნის** კვლევას, **რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ გაზარდა საქართველოში** შობადობა **კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ინიციატივამ, მის მიერ მესამე და მომდევნო შვილების მონათვლის შესახებ და** ამტკიცებს, რომ საზოგადოებაში ელიტებისა და კულტურული ნორმების როლი შობადობის ზრდის კუთხით გადამწყვეტია.

სტატიაში განხილული გვაქვს ქვეყანაში შობადობის კლების ეკონომიკური ასპექტები და მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების სამთავრობო პროგრამები.

საკვანძო სიტყვები: შობადობა, მოსახლეობის დაბერება, პატრიარქის ინიციატივა

CULTURAL NORMS, PATRIARCH'S INITIATIVE AND BIRTH ECONOMIC ASPECTS

Lia Chkonia
Associate Professor of GTU

RESUME

In Georgia and the world's aging process is underway. The decline in birth rates is due to many socio-economic factors. However, historical-religious cultural norms are weakened. Georgian cultural norms, crucifixion, family holiness, children, baptism, etc., are directly related to religion. It is precisely by the intensification of these norms that the birth rate was to increase the baptism of the third and subsequent children born in the crucified families, Ilia II, the initiative of the Catholicos-Patriarch of All Georgia. Which has been held periodically since 2007 and today the number of the patriarch's godchildren is 49,000.In 2008, there was a birth boom in the country, and in the short term, the birth rate increased four times. The patriarch's initiative is approved by Elon Musk, the head of the efficiency department of the government of the new US administration, and he shares the research of the American demographer, Lyman Stone, in which he talks about how the initiative of Catholicos-Patriarch Ilia II increased the birth rate in Georgia, about his baptism of third and subsequent children, and claims that the role of elites in society and cultural The role of norms in terms of birth rate growth is crucial.

In the article, we discussed the economic aspects of the decline in the birth rate in the country and government programs to help large and socially vulnerable families.

Keywords: Fertility Rate, Demographic Aging, Patriarch's Demographic Initiative

* * * * *

საქართველო, როგორც უძველესი კულტურისა და რელიგიის ქვეყანა, თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, იცავს და ინარჩუნებს ტრადიციულ, კულტურულ ნორმებს. ერის კულტურა სოციალური მემკვიდრეობაა, სოციალური ტრადიციაა, სოციალიზაციის პროცესში შეძენილი ნორმების ერთობლიობა და საზოგადოებისთვის საერთო ნორმებისა და სულიერი ღირებულებების სისტემაა.

კულტურული ნორმები-კონკრეტული წესების კომპლექტი, სტანდარტები, ტრადიციულად მიღებულია საზოგადოებაში და არსებობს საზოგადოების ყველა ჯგუფში, როგორც პრიმიტიულ ტომებში, ასევე ცივილიზებულ ერებში. ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან.

ყველა ქვეყანას აქვს საკუთარი კულტურული ნორმები და წესები, რომლებიც მემკვიდრეობით გადაეცემა თაობიდან თაობას, რაც უზრუნველყოფს შენარჩუნდეს ეთნიკური ჯგუფები. ასეთია რელიგიურობა, პატრიოტიზმი, ოჯახის ღირებულებები და სხვა. ამავე დროს არსებობს მსგავსი ან ერთიანი

სტანდარტები, ზოგადი წესები, საზოგადოების მიერ შეძენილი/მიღებული კულტურული ნორმები, წესები და რეგულაციები მთლიანად ქვეყნებისთვის.

ქვეყანაში კულტურული ნორმები განისაზღვრება, როგორც სტანდარტული ან მისაღები ქცევები და დამოკიდებულებები, რომლებსაც მხარს უჭერს ადამიანთა ჯგუფი, ქვეყნის მოქალაქეები. კულტურული ნორმები გავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკულად ყველა ნაწილზე. ყოველი ქვეყნის კულტურას აქვს დაცვითი მექანიზმების მთელი სისტემა, რომელიც იცავს მას სხვა კულტურათა განსაკუთრებით ინტენსიური ზემოქმედებისაგან.

ქართული კულტურული ნორმები, როგორიცაა ჯვრისწერა, ოჯახის სიწმინდე, შვილიანობა, ნათლობა და სხვა, პირდაპირ დაკავშირებულია რელიგიასთან და გამომდინარეობს მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების წიაღიდან.

შვილთა შობა ღვთისგან ბოძებული კურთხევაა. ღმერთმა აკურთხა ადამი და ევა და უთხრა: "გამრავლდით, დაიბადეთ და აღავსეთ ქვეყანა"(დაბ.1;28) შობადობა და ოჯახი ბიბლიაში ცენტრალური და ღრმად სიმბოლური თემებია. შობადობა ღმერთის ძალის გამოვლინებაა. ბიბლიაში ღვთის ძალის და ნების გამოვლენის უნიკალური მაგალითია ქალწული მარიამი-დედაღვთისა მარიამი-ზეციური ჩარევა და იესოს დაბადება. სარას გან (აბრაამის ცოლი) სიბერეში შვილის დაბადება. უშვილო ელისაბედისგან იოანე ნათლისმცემლის დაბადება. ბიბლიაში ოჯახში შვილები უფლისგან მონიჭებული წყალობაა და ითვლება კურთხევად და პასუხისმგებლობად. ოჯახი აღიქმება როგორც ღვთის მიერ დადგენილი სოციალური ერთეული, რომელიც იწყება ქორწინებით და ერთიანდება „ძვალი ძვალთაგან და ხორცი ხორცთაგან". ბიბლიაში ქორწინება აღწერილია ქრისტესა და ეკლესიის ურთიერთობის ანალოგიით- სიყვარული, თავგანწირვა, პატივისცემა.

2007 წლის ბოლოს კავკასიის რეგიონში შობადობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველოში დაფიქსირდა. ქართული კულტურული ნორმების დაცვისა და შენარჩუნებისთვის საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას და ღვაწლმოსილ პატრიარქს უამრავი ღონისძიება აქვს განხორციელებული. რელიგიას, როგორც ქვეყნის კულტურული ნორმების დაცვა-შენარჩუნებისა და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას უდიდესი როლი აქვს. საქართველოს მოსახლეობის 94% პატრიარქს საზოგადოებაში ყველაზე სანდო პიროვნებად მიიჩნევს. მართლმადიდებლები საქართველოს მოსახლეობის 84%-ს შეადგენენ, დანარჩენი კონფესიის წარმომადგენლები ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენენ.

შობადობის საგანგაშო მაჩვენებლის გამოსასწორებლად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მამამთავარი, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე გამოვიდა ინიციატივით, რომ თავად მონათლავდა ჯვარდაწერილ ოჯახებში დაბადებულ ყოველ მესამე და შემდგომ ბავშვს. ამ ინიციატივის მიზანი იყო შობადობის წახალისება და მრავალშვილიანი ოჯახების სტატუსის ამაღლება. რაც ოჯახებისთვის, დამატებითი სულიერი მხარდაჭერისა და სტიმულის მიმცემი იყო. ინიციატივის შედეგად საქართველოში შობადობის ბუმი დაიწყო. 2008 წლის განმავლობაში ქვეყანაში შობადობის მაჩვენებელი 20%-ით გაიზარდა, რაც ოთხჯერ აღემატებოდა წინა წლების მაჩვენებელს.

პატრიარქის ინიციატივა უნდა განვიხილოთ, როგორც საქართველოში კულტურული ნორმების გააქტიურებისკენ გადადგმული ნაბიჯი, ჯვარდაწერილი ოჯახების გაძლიერება, მესამე შვილის ნათლობა, ქორწინების გარეშე შობადობის შემცირება და სხვ. პატრიარქის ინიციატივით სხვადასხვა დარგის მეცნიერ-მკვლევარები, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეები დაინტერესდნენ.

აშშ ახალი ადმინისტრაციის **მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ილონ მასკი ეხმაურება** და იზიარებს **ამერიკელი დემოგრაფის, ლაიმან სტოუნის** კვლევას, **რომელშიც საუბარია იმაზე, თუ როგორ გაზარდა საქართველოში** შობადობა **კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის ინიციატივამ, მის მიერ მესამე და მომდევნო შვილების მონათვლის შესახებ.** „შესანიშნავი ახალი კვლევა, რომელიც ლაიმან სტოუნმა გამოაქვეყნა, აჩვენებს, რომ შობადობის წახალისებამ და მრავალშვილიანი ოჯახების სტატუსის ამაღლებამ გამოიწვია შობადობის ზრდა 42%-ით დაქორწინებულ მართლმადიდებელ ქართველ წყვილებში და მესამე და მეტი შვილის გაჩენის მაჩვენებელი 100%-ით გაიზარდა. კულტურულ ლიდერებს შეუძლიათ, აამაღლონ ერების ნაყოფიერება (ფერტილურობა)!" წერს ილონ მასკი. ლაიმან სტოუნი (Lyman Stone) დემოგრაფი, ეკონომისტი და პოლიტიკის ანალიტიკოსია, რომელიც სპეციალიზდება რეპროდუქციის, მიგრაციისა და დემოგრაფიული ცვლილებების საკითხებში. ის აქტიურად აქვეყნებს კვლევებს რეპროდუქციის პოლიტიკაზე, განსაკუთრებით იმის შესახებ, თუ როგორ მოქმედებს კულტურული და სახელმწიფო პოლიტიკა შობადობაზე. ის ამტკიცებს, რომ საზოგადოებაში ელიტებისა და კულტურული ნორმების როლი შობადობის ზრდის კუთხით გადამწყვეტია.

„... სულიერი კულტურა, რომელშიც რწმენა, რელიგია, ენის გამოყენება და დაცვა, ადამიანის სულიერი მდგომარეობა და მისი ზნე-ჩვეულებანი შედის" ბრძანებს პატრიარქი თავის ეპისტოლეში. საყოველთაო ნათლობის იდეა, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ეკუთვნის. პატრიარქის ინიციატივის მიზანი საქართველოში დემოგრაფიული

მდგომარეობის გაუმჯობესება და კულტურული ნორმების დაცვა-გაძლიერებაა. კათოლიკოს-პატრიარქი ნათლავს ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილებს.

ჩვილთა პირველი საყოველთაო ნათლობა 2008 წლის 19 იანვარს -ნათლისღების დღესასწაულზე სამების საკათედრო ტაძარში ჩატარდა. ის ტრადიციად იქცა და პერიოდულად ტარდება. 2024 წელს **სამების საკათედრო ტაძარში, რიგით 70-ე საყოველთაო ნათლობა გაიმართა,** ამ დროისათვის პატრიარქს 48,5 ათასი ნათლული ჰყავს.

ქართველი დემოგრაფების განმარტებით, ბოლო ათწლეულის მანძილზე ქვეყანაში შობადობის აღრიცხვიანობა გაუმჯობესებულია წინა წლებთან შედარებით. ამავე დროს თვალსაჩინო ფაქტია, რომ პატრიარქის ინიციატივა მესამე ბავშვის მონათვლის შესახებ შობადობაზე დადებითად აისახა. თუმცა, ეს იყო მოკლევადიან პერიოდში, რადგან შობადობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს და გრძელვადიან პერიოდში დაკვირვების და შესწავლის საკითხია.

შობადობის მაღალი ნორმები ტრადიციული კულტურის განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე მოდერნიზებულ სამყაროში მიმდინარეობს დაპირისპირება ახალ და ტრადიციულ ფასეულობათა სისტემებს შორის. ამ სამყაროსთვის მაღალი შობადობა არ არის დამახასიათებელი. ტრადიციული კულტურის ქვეყნების რაოდენობა მსოფლიოში კლებულობს. ასეთი ქვეყნების რიგში მოიაზრება საქართველოც. დემოგრაფიული საკითხები ქვეყანაში არის პრობლემატური და საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კვლევა არ ადასტურებს პატრიარქის ინიციატივის პირდაპირ გავლენას შობადობის ზრდაზე, ინიციატივამ მოახდინა როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი გავლენა საზოგადოებაზე. გაიზარდა ჯვარდაწერილი ოჯახების რიცხვი, შვილთა ნათლობა. დამოკიდებულება მრავალშვილიანი ოჯახების მიმართ და წახალისდა შობადობის კულტურული მხარდაჭერა საზოგადოებისა და სახელმწიფოს მიერ.

შობადობის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევისას შედარებით ახალი მიდგომაა კულტურული ნორმების შობადობაზე მნიშვნელოვანი და მუდმივი გავლენის კვლევა. გავლენა გამოიხატება შობადობის განსხვავებული დონეებით მსგავსი ფინანსური სტატუსის და განსხვავებული კულტურული მახასიათებლების მატარებელ ადამიანებს შორის. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში შობადობის დონე ემიგრანტებს შორის უფრო ახლოსაა მათი წარმომავლობის ქვეყნების შობადობის დონესთან. კულტურული ნორმები იცვლება და შესაძლოა მათზე გავლენა როგორც ეკონომიკურმა, ასევე პოლიტიკურმა გარემომაც მოახდინოს. კულტურული ნორმების განვითარებასა და ადაპტაციაზე საკმაოდ მნიშვნელოვანია და ასევე გავლენას ახდენს დროის ფაქტორი.

შობადობის მაჩვენებელი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორების, მათ შორის პანდემიის, ომების, პოლიტიკური კატაკლიზმების გავლენით ბოლო პერიოდში გაუარესდა საქართველოში და დაწყებულია მოსახლეობის დაბერების პროცესი. მოსახლეობის დაბერება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთ ძირითად პრობლემად მიიჩნევა. აშშ-ის მოსახლეობის ბიუროს გაანგარიშებით, 2050 წლისათვის მოსალოდნელია, რომ მსოფლიოში 65 წლის და მეტი ასაკის მოსახლეობის რაოდენობამ 1,5 მილიარდს მიაღწიოს. აქედან 1,2 მილიარდი მოვა დღეს არსებულ განვითარებად რეგიონებზე, სავარაუდოდ მსოფლიოს მოხუცებული მოსახლეობის 25% იცხოვრებს განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო 75% -განვითარებადში. ეს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია დიდ ზეგავლენას მოახდენს მსოფლიო მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. საქართველოში 60 და მეტი ასაკის მოსახლეობის წილი ქვეყნის მთლიან მოსახლეობაში 20,7%-ს შეადგენს. მოსალოდნელია, რომ 2050 წლისთვის მათი წილი 28,1%-ს მიაღწევს.

მაღალი შობადობა ნიშნავს ახალგაზრდა მოსახლეობის სიჭარბეს და განახლებად შრომით რესურსს, ქვეყნის ეროვნულ სიძლიერეს. ეკონომიკაში სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე აქტიურობის დონის განმსაზღვრელია. რაც უფრო მაღალია შესაძლებლობები, უნარები, განათლება და კვალიფიკაცია, მით უფრო მაღალია მათ მიერ შექმნილი საქონლისა და მომსახურების რაოდენობა და ხარისხი. დაბალი შობადობა, მოსახლეობის დაბერება იწვევს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირებას, რაც ეკონომიკურ მაჩვენებლებსა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება. რამეთუ **გრძელვადიან პერსპექტივაში იმოქმედებს ქვეყანის ეკონომიკური ზრდაზე და მოსახლეობის ცხოვრების დონეზე.** მოსახლეობის დაბერება შექმნის სახელმწიფო ბიუჯეტიდან საპენსიო თანხების მოცულობის გაზრდის აუცილებლობას. შეიცვლება საზოგადოების შემოსავლების განაწილების საკითხი. დასაქმებულების ხარჯზე მოხდება პენსიონერების მატერიალური უზრუნველყოფა. საპენსიო ასაკის მოსახლეობის წილის ზრდა საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ფინანსების მდგრადობასაც. სხვადასხვა ინდუსტრიებში შესაძლოა სამუშაოს ძალის დეფიციტი და პოტენციურად ხელფასების ზრდაც განაპირობოს, რაც თავის მხრივ, საქონლისა და მომსახურების ფასსაც გააძვირებს.

შობადობის მაჩვენებლის კლება სხვა მიზეზებთან ერთად ცივილიზაციის განვითარების ერთგვარი შედეგია. წარსულთან შედარებით, ქალი უფრო

ემანსიპირებულია, უფრო მეტ ქალს შეუძლია განათლების მიღება, წარმატებული ბიზნესსაქმიანობა, ასევე, მათ მეტი წვდომა აქვთ კონტრაცეფციაზე, რაც ნაკლები შვილის ყოლის საშუალებას აძლევს და თავისთავად ამცირებს შობადობის მაჩვენებელს ქვეყანაში. აზიის განვითარების ბანკი(ADB)-ის შეფასებით, საქართველოში შობადობის შემცირებული მაჩვენებელი მომავალში მაღალი ეკონომიკური შედეგების მოლოდინს არ იძლევა. ამას ემატება ქვეყნიდან შრომისუნარიანი მოსახლეობის გადინება, განსაკუთრებით კი აქტიური სამუშაო ძალის გასვლა, რაც უარყოფითი ფაქტორია იმისათვის რომ ეკონომიკური ზრდა მომდევნო წლებშიც იგივე ტემპით გაგრძელდეს.

საქართველოში შობადობის, უმუშევრობის, სამუშაო ძალისა და სხვა მაჩვენებლების ცვლილებებზე უამრავი შიგა და გარე, პირდაპირი და არაპირდაპირი, ეკონომიკური და პოლიტიკური ფაქტორები ახდენს გავლენას. მიუხედავად ამისა საქართველოში ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება. 2024 წელს მშპ-ის რეალურმა ზრდამ 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 9,4% შეადგინა. ცხოვრების დონის ხანგრძლივი გაუმჯობესებით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ხუთეულშია, თუმცა ცხოვრების დონე რთული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორიაა და მისი განსაზღვრა ერთი კონკრეტული მაჩვენებლით შეუძლებელია. სწორი ეკონომიკური პოლიტიკით აუცილებელია მისი შენარჩუნება.

2021 წელს საქართველოს 3.7 მლნ მოსახლეობიდან.1.5 მლნ შედიოდა სამუშაო ძალაში. 2023 წლიდან ფიქსირდება სამუშაო ძალის მზარდი ტენდენცია 1.6 მლნ. 1633.4 მლნ...რაც აისახა დასაქმებაზე, უმუშევრობის შემცირებასა და ეკონომიკური ზრდასა სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. 2024 წელს საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა შემცირდა 3 694.6 კაცამდე, ბუნებრივი მატება 2019-24 წლებში შემცირდა 1 614 დან -4 488 მდე. 2024 წელს საქართველოში დაიბადა 39 483 და გარდაიცვალა 43 971 ადამიანი. საგანგაშოა ქორწინების მაჩვენებელიც. 2024 წელს რეგისტრირებულია21653 ქორწინება ხოლო იმავე წელს რეგისტრირებულ განქორწინებათა რაოდენობამ ნახევარზე მეტი -13 520 ერთეული შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ განქორწინების მაჩვენებელი 1.1%-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე, მაგრამ მდგომარეობა სახარბიელო არ არის.

საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მოსახლეობის დახმარების, შობადობის ზრდის, მრავალშვილიანი და სოციალურად შეჭირვებული ოჯახებისთვის სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებია ამოქმედებული. ეკონომიკური ზრდის კვალდაკვალ იხვეწება და იზრდება პროგრამები, რომლებიც მიმართულია ოჯახების კეთილდღეობის გაუმჯობესებისკენ.

საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა „დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია“, რომლის მიზანია შობადობის წახალისება და მიგრაციის შემცირება. 2007 წლამდე მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი 7 და მეტი ბავშვიან ოჯახებს ენიჭებოდათ. 2019 წლიდან მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი მიენიჭათ 4 და მეტი შვილიან ოჯახებს.

90-იანი წლების შემდგომ, საქართველოში ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესი რამოდენიმეჯერ შეიცვალა. 2014 წლამდე, დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა 4 თვეს შეადგენდა. 2014 წელს საკანონმდებლო ცვლილებებით, საგრძნობლად გაიზარდა დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობა, მათ შორის – ანაზღაურებადი შვებულებისაც.1000 ლარამდე გაიზარდა დახმარება, რომელსაც სოციალური მომსახურების სააგენტო გასცემს.

2023 წლიდან დეკრეტული შვებულების პერიოდში დახმარება როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში დასაქმებულებისთვისაც 2000 ლარამდე გაიზარდა. დახმარებას იღებენ მრავალშვილიანი ოჯახები, რომელთა ყოველთვიური შემოსავალი 6 ათას ლარს არ აღემატება. მრავალშვილიანი და სოციალურად დაუცველი ოჯახები იღებენ დახმარებას ცენტრალური ხელისუფლებიდან, მუნიციპალიტეტებიდან, ელექტროენერგიის საფასურის და სხვა კომუნალური ხარჯების დასაფარად, სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო წრეებსა და სპორტულ სექციებზე უფასოდ სარგებლობისთვის, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ჩაბარებისას სარგებლობენ შეღავათებით. ასევე, საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საქართველოს მთავრობა „აწარმოე საქართველოში“ კამპანიის ფარგლებში საწარმოთა დაფინანსებისას უპირატესობას მრავალშვილიან ოჯახებს მიანიჭებს. მოხდება **მრავალშვილიანი ან ახალშეძენილი შვილების მქონე ოჯახებისთვის იპოთეკური სესხის სუბსიდირება...**

„დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფციის“ ფარგლებში 2017 წელს დაიწყო ყოველთვიური დახმარების პროგრამა სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, ხოლო 2023 წელს 2000 ლარიანი ერთჯერადი დახმარება მრავალშვილიანი ოჯახებისთვის. თუმცა კვლავ შენარჩუნებულია შობადობის კლების ტენდენცია. რომელიც წარმოადგენს სერიოზულ გამოწვევას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის.

მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის მიუხედავად, საკითხი საჭიროებს დამატებით ზომებს, როგორიცაა განათლების სისტემის გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა და სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირება. მდგრადი განვი-

თარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შობადობის ეკონომიკური ასპექტების გათვალისწინება. შრომითი ბაზრის რეგულირება-დაბალი შობადობა ამცირებს შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობას, რაც ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. გადამზადებისა და პროფესიული სწავლების პროგრამების გაძლიერება, რადგან კომპანიებს უჭირთ კვალიფიციური მუშახელის პოვნა, რაც ზრდის ხელფასებს და ამცირებს წარმოების ეფექტიანობას.

შობადობის ამაღლების, მრავალშვილიანი ოჯახების ხელშეწყობის პროგრამების ამუშავება, დასაქმების უზრუნველყოფა ღირსეული ანაზღაურებით-შეამცირებს ბიუჯეტიდან საპენსიო და სოციალურ ხარჯებს. მეტი შრომითი მოსახლეობა ნიშნავს მეტ გადასახადს, რაც გაზრდის ბიუჯეტის შემოსავლებს.

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური განვითარების გეგმა და დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია იძლევა დამაიმედებელ მოლოდინებს, რომ ქვეყანაში სოციალური პოლიტიკა გახდება უფრო მეტად ინკლუზიური. თითოეული ახლადშექმნილი და მრავალშვილიანი ოჯახი მიიღებს სათანადო მხარდაჭერას, დახმარებას და სტიმულს, რათა მოახერხონ საზოგადოებაში ადაპტაცია, გამრავლდნენ, განვითარდნენ და შეძლონ ქვეყნისთვის სარგებლობის მოტანა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka/modules/categories/39/khelfasebi)
2. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე https://matsne.gov.ge/ka/document/view/5003141?publication
3. https://nostal.ge/სტატია 01.03.2025.
4. orthodoxy.ge - პატრიარქის ქადაგებები - ადამიანი და კულტურა.
5. კათალიკოს პატრიარქი ილია II - ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი. ტ.I-II. თბ. 1997 წ.
6. ნ. გულბიანი. რელიგია და სულიერი კულტურის სხვა ფორმები. თბ. 2012.
7. ჟურნალი „ლიბერალი“ - საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. სტატია 25.02.2013.